

**მოსარგებლეებისა და გადაცემის ლიცენზიატების მიერ ყოველთვიური,  
კვარტალური და წლიური ანგარიშების დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის  
წარდგენის ინსტრუქცია**

**მუხლი 1. მოქმედების სფერო**

წინამდებარე ინსტრუქცია განსაზღვრავს მოსარგებლეებისა და გადაცემის ლიცენზიატების მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშების წარდგენის წესს, პირობებსა და პროცედურებს.

**მუხლი 2. ინსტრუქციის მიზანი**

ინსტრუქციის მიზანს წარმოადგენს ელექტროენერგეტიკული სისტემისა და ელექტრომომწობილობა-დანადგარების უსაფრთხოდ მართვისათვის, მოსარგებლეებისა და გადაცემის ლიცენზიატების მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის ინფორმაციის წარდგენის თანმიმდევრული, ეფექტური და გამჭვირვალე პროცესის უზრუნველყოფა.

**მუხლი 3. მოსარგებლეებისა და გადაცემის ლიცენზიატების მიერ წარსადგენი ინფორმაცია**

1. მოსარგებლეებისა და გადაცემის ლიცენზიატის მიერ წარდგენილი ყოველთვიური მუშაობის ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ა) ძაბვის საფეხურების მიხედვით, მათ დაქვემდებარებაში არსებულ ქსელში დაუგეგმავ გამორთვებსა და ტექნოლოგიურ დარღვევებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წინა თვის განმავლობაში და მათ გამომწვევ მიზეზებს;
  - ბ) დაუგეგმავი გამორთვისა და ტექნოლოგიური დარღვევის თარიღსა და ხანგრძლივობას;
  - გ) დაუგეგმავი გამორთვის და ტექნოლოგიური დარღვევის შეფასებებს;
  - გ) დაგეგმილ გამორთვებს, მონაცემებს სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ და მათ ტექნიკურ მახასიათებლებს;
  - დ) დაუგეგმავი და დაგეგმილი გამორთვების გამო მომხმარებლებისათვის მიუწოდებელი ელექტროენერგიის რაოდენობას;
  - ე) ავარიული გამორთვის შემთხვევაში, ინფორმაციას გამორთვის მასშტაბურობისა და ელექტროენერგეტიკულ სისტემაზე მისი გავლენის შესახებ;
  - ვ) იმ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რომელიც გაატარეს მოსარგებლეებმა და გადაცემის ლიცენზიატებმა წინა თვის განმავლობაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად;
  - ზ) რეკომენდაციებს მომავალში დაუგეგმავი გამორთვებისა და ტექნოლოგიური დარღვევების თავიდან ასაცილებლად.
2. მოსარგებლეებისა და გადაცემის ლიცენზიატის მიერ წარდგენილი კვარტალური ანგარიშები უნდა მოიცავდეს წინა კვარტლის განმავლობაში დაუგეგმავი გამორთვების,

ტექნოლოგიური დარღვევების და დაგეგმილი გამორთვების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს.

3. მოსარგებლეებისა და გადაცემის ლიცენზიატის მიერ წარდგენილი წლიური ანგარიშები უნდა მოიცავდეს ყოველთვიურ და კვარტალურ ანგარიშში ასახული მნიშვნელოვანი შემთხვევების ზოგად ანალიზს და რეკომენდაციებს.

#### **მუხლი 4. ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშების წარდგენის ვადები**

1. მოსარგებლეებმა და გადაცემის ლიცენზიატებმა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ყოველთვიური მუშაობის ანგარიში უნდა წარუდგინონ ყოველი თვის დამთავრებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.
2. მოსარგებლეებმა და გადაცემის ლიცენზიატებმა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს კვარტალური ოპერატიული მუშაობის ანგარიში უნდა წარუდგინონ ყოველი კვარტლის დამთავრებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
3. მოსარგებლეებმა და გადაცემის ლიცენზიატებმა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს წლიური ოპერატიული მუშაობის ანგარიში უნდა წარუდგინონ ყოველი წლის დამთავრებიდან 4 თვის ვადაში.
4. იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლე ან გადაცემის ლიცენზიატი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს არ წარუდგენს ყოველთვიურ, კვარტალურ ან წლიურ ანგარიშს ამ მუხლით დადგენილ ვადაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების მისაღებად.

#### **მუხლი 5. ანგარიშების წარდგენის ფორმა**

ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშები წარდგენილ უნდა იქნეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად (დანართი 1,2,3), როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური ფორმით.

#### **მუხლი 6. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ანგარიშების დამუშავება**

1. ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში ტექნიკური უსაფრთხოებისა და ინსპექციის სამსახური ახორციელებს მოწოდებული ინფორმაციის დამუშავებას და ანალიზს.
2. არასრულყოფილი ანგარიშის მოწოდების შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შეუძლია მოსარგებლესა და გადაცემის ლიცენზიატს მის მიერ განსაზღვრულ ვადაში მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.
3. ტექნიკური უსაფრთხოებისა და ინსპექციის სამსახური ყოველთვიურ, კვარტალურ და წლიურ ანგარიშებში ასახული ინფორმაციის ანალიზის შედეგებს წარუდგენს სსე-ს

ბრძანებით შექმნილ ელექტროენერგეტიკულ ობიექტებზე მომხდარი ტექნოლოგიური დარღვევების მომკვლევ მუდმივმოქმედ კომისიას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შედეგების საფუძველზე, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია შეიმუშავოს სათანადო დონისძიებები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ან/და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას წარუდგინოს წინადადებები ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხოების, საიმედოობისა და მდგრადობის ამაღლების მიზნით.

დანართი 1

მოსარგებლეებისა და გალაცემის ლიცენზიატების მიერ წარმოსადგენი ყოველთვიური მუშაობის ანგარიშის ფორმა

ყოველთვიური მუშაობის ანგარიშის ფორმა							
[წელი და თვე]							
მოსარგებლის/გადაცემის ლიცენზიატის დაქვემდებარებაში არსებულ ქსელში დაუგეგმავი გამორთვის ტექნოლოგიური დარღვევის თარიღი და ხანგრძლივობა	დაუგეგმავი გამორთვის ა და ტექნოლოგიური დარღვევის დათარიღი და ხანგრძლივობა	ლაუგეგმავი გამორთვის ტექნოლოგიური დარღვევის დათარიღი და ხანგრძლივობა	ლაუგეგმავი და გამორთვის ტექნოლოგიური დარღვევის დათარიღი და ხანგრძლივობა	ლაუგეგმავი და გამორთვის ტექნოლოგიური დარღვევის დათარიღი და ხანგრძლივობა	ლაუგეგმავი და გამორთვის ტექნოლოგიური დარღვევის დათარიღი და ხანგრძლივობა	ლაუგეგმავი და გამორთვის ტექნოლოგიური დარღვევის დათარიღი და ხანგრძლივობა	ლაუგეგმავი და გამორთვის ტექნოლოგიური დარღვევის დათარიღი და ხანგრძლივობა
მოსარგებლის/გადაცემის ლიცენზიატის დაქვემდებარებაში არსებულ ქსელში დაუგეგმავი გამორთვის ტექნოლოგიური დარღვევის დათარიღი და ხანგრძლივობა	ლაუგეგმავი და გამორთვის ტექნოლოგიური დარღვევის დათარიღი და ხანგრძლივობა	ლაუგეგმავი და გამორთვის ტექნოლოგიური დარღვევის დათარიღი და ხანგრძლივობა	ლაუგეგმავი და გამორთვის ტექნოლოგიური დარღვევის დათარიღი და ხანგრძლივობა	ლაუგეგმავი და გამორთვის ტექნოლოგიური დარღვევის დათარიღი და ხანგრძლივობა	ლაუგეგმავი და გამორთვის ტექნოლოგიური დარღვევის დათარიღი და ხანგრძლივობა	ლაუგეგმავი და გამორთვის ტექნოლოგიური დარღვევის დათარიღი და ხანგრძლივობა	ლაუგეგმავი და გამორთვის ტექნოლოგიური დარღვევის დათარიღი და ხანგრძლივობა
1.							
2.							
3.							
4.							

ზედიდინი

რეკომენდაციები მომავალში დაუგეგმავი გამორთვის ისა და ტექნოლოგიური დარღვევები ის თავიდან ასაცილებლად

არსებული პრობლემების გადასაჭრელად გატარებული ღონისძიებები

ინფორმაცია ავარიული გამორთვის მასშტაბურობისა და ელექტროენერჯი ტიკულ სისტემაზე მისი გვლენის შესახებ

დანართი 2

მოსარგებლებებისა და გადაცემის ლიცენზიატების მიერ წარმოსადგენი კვარტალური ოპერატული მუშაობის ანგარიშის ფორმა

მოსარგებლებებისა და გადაცემის ლიცენზიატების მიერ წარმოსადგენი კვარტალური ოპერატული მუშაობის ანგარიში [წელი და კვარტალი]			
	დაუგვემავი გამორთვის შესახებ სტატისტიკური მონაცემები	ტექნოლოგიური დარღვევების შესახებ სტატისტიკური მონაცემები	დაუგვემავი გამორთვისა და ტექნოლოგიური დარღვევის შეფასება
1.			
2.			
3.			

მოსარგებლეებისა და გადაცემის ლიცენზიატების მიერ წარმოსადგენი წლიური ოპერატიული მუშაობის ანგარიშის ფორმა

მოსარგებლეებისა და გადაცემის ლიცენზიატების მიერ წარმოსადგენი წლიური ოპერატიული მუშაობის ანგარიში [წელი]	
წლის განმავლობაში მომხდარი მნიშვნელოვანი შემთხვევების ბოგადი ანაღიბი	რეკომენდაციები
1.	
2.	
3.	